



GEORGIAN FOUNDATION FOR  
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

რას მისცემს საქართველოს მარიხუანის ეკონომიკა?

ვლადიმერ ჰაჰავა  
ვასტანგ ჭარანია  
გონა ცოფურაშვილი

114

ექსპერტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

## **ექსპერტის აზრი**

**ვლადიმერ პაპავა  
ვასტანბ ჭარბია  
გონა ცოფურაშვილი**

**რას მისცემს საქართველოს მარინუანის ეკონომიკა?**

**114**

**2019**



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2019 წელი

ISSN 1512-4835

ISBN 978-9941-8-0959-0

## მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის ძირითადი მონახაზი

მარიხუანის მოხმარების ლეგალიზების შესახებ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 30 ივლისის გადაწყვეტილებიდან<sup>1</sup> სულ რამდენიმე კვირაში, 2018 წლის სექტემბერში, საქართველოს მთავრობამ პარლამენტში ამ „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის“ სამედიცინო მიზნით წარმოებისა და ექსპორტზე გატანის კანონპროექტი შეიტანა. საყურადღებოა, რომ ამ ინიციატივას ერთ ნელზე მეტი ხნით ადრე წინ უძღოდა საქართველოში მარიხუანის ეკონომიკის შექმნის მხარდამჭერი ანალიტიკური წერილი<sup>2</sup>, რაც იმ დროს პრაქტიკულად შეუმჩნეველი დარჩა, რადგან ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მარგინალური პოლიტიკური ძალის ინიციატივას წელიწად-ნახევარში ხელისუფლება დაუჭერდა მხარს.

წინამდებარე საექსპერტო კვლევაზე მუშაობისას, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და საზოგადოების ფართო ფენების მოთხოვნის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობამ აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტიდან უკან გაიწვია. მიუხედავად ამისა, მაინც მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ჩვენი კვლევის გაგრძელება, რადგან საზოგადოებას ამ საკითხის მიმართ დიდი ინტერესი აქვს.

ხსენებული სამთავრობო ინიციატივის თანახმად, საქართველოში ხელმისაწვდომი იქნება კანაფის წარმოებასთან დაკავშირებული, სხვადასხვა დანიშნულების 10 სპეციფიკური ლიცენზიის მიღება, კერძოდ:

1. სამედიცინო მიზნით დათესვა, მოყვანა და კულტივაციის ლიცენზია;
2. სამრეწველო მიზნით მცენარე კანაფის დათესვის, მოყვანის და კულტივაციის ლიცენზია;
3. სამედიცინო მიზნით მცენარე კანაფის გადამუშავების ლიცენზია;
4. სამრეწველო მიზნით მცენარე კანაფის გადამუშავების ლიცენზია;
5. მცენარე კანაფის/გადამუშავებული მცენარე კანაფის ან/და მისგან დამზადებული პროდუქციის გადაზიდვის ლიცენზია;
6. მცენარე კანაფის შემცველი პარფიუმერულ-კოსმეტიკური პროდუქციის წარმოების ლიცენზია;
7. მცენარე კანაფის შემცველი ფარმაცევტული პროდუქციის წარმოების ლიცენზია;

8. სამედიცინო მიზნით გადამუშავებული მცენარე კანაფის ან/და მცენარე კანაფის შემცველი ფარმაცევტული პროდუქციის ექსპორტის ლიცენზია;
9. სამრეწველო მიზნით გადამუშავებული მცენარე კანაფის ან/და მცენარე კანაფის შემცველი პარფიუმერულ-კოსმეტიკური პროდუქციის ექსპორტის ლიცენზია;
10. სამრეწველო ან/და სამედიცინო მიზნით მცენარე კანაფის თესლის ან/და ნერგის იმპორტის ლიცენზია<sup>3</sup>.

აღსანიშნავია, რომ კანაფის ექსპორტზე გასატანად 1 ლიცენზიის შექმნა საკმარისი არ იქნება. საჭიროა როგორც ნედლეულის შემოტანისა და კულტივაციის, ისე ტრანსპორტირებისა და საექსპორტო ლიცენზიების შექმნაც. მცენარე კანაფის შემცველი ფარმაცევტული და პარფიუმერულ-კოსმეტიკური პროდუქციის ნაწარმის სირთულიდან გამომდინარე, რაც მრავალწლიან ცდებთან და რთულ სალიცენზიო/საპატენტო საქმიანობასთანაა დაკავშირებული, პირველ ეტაპზე მოთხოვნა მოსალოდნელი იქნება მხოლოდ დანარჩენი 8 ტიპის ლიცენზიაზე.

კანონპროექტის პირველ მუხლში ცალსახად არის გამოკვეთილი თითოეული ლიცენზიის ფასი, რომელიც 25 ათას ლარს შეადგენს, თუმცა მე-14 მუხლის მე-6 ქვეპუნქტში ვკითხულობთ, რომ: „ლიცენზია გაიცემა აუქციონის გზით „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის IV თავით დადგენილი წესის შესაბამისად, ასევე საქართველოს მთავრობის თანხმობის შემთხვევაში ლიცენზია შეიძლება გაიცეს პირდაპირი წესით“. შესაბამისად, გაურკვეველია ლიცენზიის ფასი იქნება 25 ათასი ლარი თუ ეს მხოლოდ საწყისი სააუქციონო ფასია.

ლიცენზიის ფასთან ერთად არსად არის მითითებული, თუ რა მოცულობის ფართობზე ან რა მოცულობის კანაფის წარმოებაზე გაიცემა თითოეული ლიცენზია და, მასთან ერთად, რამდენი ტონა მარხუანის წარმოების უფლების დაშვებას აპირებს ხელისუფლება ქვეყნის მასშტაბით. არადა, მე-14 მუხლის მე-5 ქვეპუნქტში ვკითხულობთ, რომ „ლიცენზიაში უნდა მიეთითოს მცენარე კანაფის დათესვის, მოყვანის, კულტივირებისა და წარმოებისათვის ნებადართული ოდენობა, ქვეყნის შიდა კვოტის გათვალისწინებით“. აღნიშნული ბუნდოვანება კანონპროექტის უარყოფით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს და ართულებს ზუსტი გათვლების გაკეთებას. შესაბამისად, გაურკვეველია, თუ რა გათვლებით იმედოვნებს, მაგალითად, საქართველოს ფინანსთა მინისტრი, რომ საქართველო ყოველწლიურად 1 მილიარდი ლარის შემოსავალს მიიღებს<sup>4</sup>.

ერთადერთი ხელმოსაჭიდი ცნობა, რომელიც კანონპროექტის მე-14 მუხლში იკითხება, ისაა, რომ კანაფის წარმოების ლიცენზიის მიღება მხოლოდ იურიდიული პირებისთვის იქნება შესაძლებელი, კერძოდ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმის მქონე კომპანიებისთვის. ამასთან ერთად, აკრძალულია აღნიშნული ლიცენზიის სხვა პირებისთვის გადაცემა. შესაბამისად, შეუძლებელი იქნება გადასახადების გარკვეული ჩამონათვალისთვის თავის არიდება, თუმცა გამომდინარე პროდუქციის საექსპორტო დანიშნულებიდან, ის ვერ დაიბეგრება ისეთი გადასახადებით, როგორიცაა: აქციზი (მით უმეტეს, რომ ასეთი გადასახადი მარიხუანაზე ჯერ გათვალისწინებული არც არის) და დამატებული ღირებულების გადასახადი (რომელიც ექსპორტიორს გადახდის შემთხვევაში უკან უბრუნდება).

### **რეგულირება/მონიტორინგი**

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა შექმნას სპეციალური სააგენტო, რომლის მიზანი იქნება მცენარე კანაფის ლეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებული საქმიანობის რეგულირება და კონტროლი. ამ ორგანიზაციის ბიუჯეტი, კანონპროექტის თანახმად, 500 ათასი ლარით იქნება განსაზღვრული.

ინიციატივის მიხედვით, მცენარე კანაფის დათესვა, მოყვანა და კულტივაცია შესაძლებელი იქნება მხოლოდ დახურულ შენობა-ნაგებობებში, სავარაუდოდ, სათბურებში, თუმცა გადამუშავებული მარიხუანა უნდა ინახებოდეს მკაცრად დაცულ შენობაში. შესაბამისი შუქსმოვანი სიგნალიზაციით და სადღეღამისო დაცვით, ასევე უზრუნველყოფილი ვიდეომეთვალყურეობის სისტემით, როგორც შიგა, ასევე გარე პერიმეტრზე. სამწუხაროდ, კანონპროექტში არ არის მითითებული შენობის ტიპი და არც მისი მაქსიმალური ან მინიმალური ზომები.

### **მსოფლიო ბაზარი**

სავარაუდოა, რომ მარიხუანის ბაზარი მსოფლიოში თავის სუფალია და მოქმედებს მოთხოვნა-მიწოდების კანონზომიერებით. მაგალითად, Washington State Liquor and Cannabis Board-ის თანახმად, 2014-დან 2016 წლამდე მწარმოებელთა რაოდენობის ზრდამ მარიხუანის სარეალიზაციო ფასი მნიშვნელოვნად შეამცირა, რასაც ექსპერტები სწორედ მოთხოვნა-მიწოდების ფაქტორით ხსნიან<sup>5</sup>. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ რამდენიმე ქვეყნისთვისაა ხელმისაწვდომი მოცემული მცენარის პლანტაციის ფართობებისა და მოცუ-

ლობის შესახებ ინფორმაცია. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ ბაზარზე დამკვიდრება არცთუ იოლი საქმე უნდა იყოს.

Arcview Market Research და BDSAnalytics-ის თანახმად, 2017 წელს ლეგალური მარიხუანის ბაზარმა 9,5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, 2022 წელს მინიმუმ 32 მილიარდიან მოცულობას უზინას-ნარმეტყველებენ, ხოლო 2027 წელს კი – 57 მილიარდს. ამიტომაც გაიზარდა საგრძნობლად ლეგალური კანაფის მწარმოებელი ქვეყნების რიცხვი<sup>6</sup>.

შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიომ ომი გამოუცხადა არალეგალურ ბიზნესს და მიდის მიზანმიმართული შეტევა კრიმინალური წარმოშობის მარიხუანაზე. მიუხედავად ამისა, 2018 წლის სექტემბერიდან კანადა არის „დიდი ოცეულის“ პირველი ქვეყანა, რომელმაც მარიხუანა სრულიად ლეგალური გახადა, როგორც კულტივირების, ასევე გავრცელების და რეალიზაციის კუთხით<sup>7</sup>.

2016 წლის გაეროს კვლევის სტატისტიკური მონაცემებით, სამედიცინო მარიხუანის ლეგალური წარმოებით და ექსპორტით მსოფლიოში პირველი დიდი ბრიტანეთია. კერძოდ, მან აწარმოა 95 ტონა, საიდანაც 2,1 ტონა ექსპორტზე გაიტანა. საზღვრებს გარეთ გატანილი პროდუქციის ღირებულებამ დაახლოებით 21 მილიონი დოლარი შეადგინა<sup>8</sup>.

დარგში ჩართული არიან ისეთი წარმატებული ქვეყნები სოფლის მეურნეობაში, როგორებიცაა ისრაელი, ავსტრალია და ფინეთი<sup>9</sup>.

დღეისათვის არალეგალურ ბაზარზე 1 გრამი კანაფის მაქსიმალური ფასი 32,66 აშშ დოლარია (იაპონია), მინიმალური – 1,34 (ეკვადორი). ლეგალურ ბაზარზე კი 1 გრამი კანაფური კანაფის საშუალო ფასი 10,3 დოლარია, ხოლო ამერიკული მერყეობს 7,5-დან 18 დოლარამდე, შტატების მიხედვით (გადასახადის ჩათვლით)<sup>10</sup>.

## **მარიხუანის კულტივირება**

სანამ გადავალთ დაბეგვრის რეჟიმზე, მნიშვნელოვანია ყურადღება შევაჩეროთ მარიხუანის კულტივირებაზე. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მარიხუანა სოფლის მეურნეობის ერთწლოვანი კულტურაა და სხვა კულტურებთან შედარებით, მსოფლიო ფასიდან გამომდინარე, საგრძნობლად მომგებიანია. მაგალითად, ჩინეთში ღია გრუნტში 1 ჰექტარზე მისი ყველაზე მინიმალური მოგება 1500 აშშ დოლარია<sup>11</sup>.

საგულისხმოა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ შემოთავაზებული კანაფის პროექტის განსახორციელებლად დაგვჭირდე-

ბა აგროტექნოლოგიები და სხვა შესაბამისი სპეციალისტები, რომლებიც არ გვყავს. საზღვარგარეთ ადამიანების დაქირავება კი საქართველოში ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად არაფრის მომცემი იქნება.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ზუსტად უნდა იყოს დაცული ტექნოლოგიური პროცესი, რათა ცბდ-ის (ნივთიერება, რომელიც სამედიცინო კუთხით გამოიყენება, რაც არ იწვევს თრომბას) შემცველობაში არ იქნეს დაშვებული გადახრა. შესაბამისად, ჩამოსატანი იქნება ახალი ნერგები, რაც ასევე ხარჯებთანაა დაკავშირებული.

### **მოსალოდნელი შემოსავლები**

ამერიკული მონაცემების თანახმად, ლეგალური მარიხუანის წარმოებაში დასაქმებულებს საშუალოდ ორჯერ უფრო მაღალი ხელფასი აქვთ, ვიდრე ქვეყნის საშუალო მაჩვენებელია<sup>12</sup>. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ ეს დარგი საქართველოშიც შექმნის რამდენიმე ათას მაღალანაზღაურებად სამსახურს. ამასთან ერთად, ამერიკაში ლეგალური მარიხუანის პლანტაციები 16 ათას ჰექტარზეა გადანაწილებული<sup>13</sup> და დარგში 165 ათასიდან 230 ათასამდე ადამიანი დასაქმებული<sup>14</sup>.

გამომდინარე იქიდან, რომ საექსპორტო საქონელი საქართველოში მთელი რიგი გადასახადებისაგანაა გათავისუფლებული, საინტერესოა, თუ რა სარგებლის მოტანა შეუძლია მას, ერთი მხრივ, სახელმწიფო ბიუჯეტისათვის, დასაქმებულებისა და ზოგადად ეკონომიკისათვის<sup>15</sup>. კერძოდ, 1 ჰა ფართობზე სათბურის მოწყობას (საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, კანაფის წარმოება მხოლოდ დახურულ სივრცეში იქნება დაშვებული) და შესაბამისი უსაფრთხოების ნორმების მოწესრიგებას საშუალოდ 4 მილიონი ლარი დასჭირდება; ამ ფართობზე მიღებული კანაფის მოსავლის მოცულობა პირველ ეტაპზე შესაძლებელია იყოს 3-7 ტონა, ხოლო მისი გამშრობისა და გადაამუშავების შემდეგ საბოლოო პროდუქტის საშუალო მოცულობა კი საშუალოდ შეადგენს 0,8 ტონას<sup>16</sup>. რაც შეეხება მის ფასს, ჩვენს გათვლებში კანაფის საშუალო ფასად 10 დოლარი გავითვალისწინეთ, ხოლო 1 პლანტაციაზე დასაქმებულთა რაოდენობა კი 100 ადამიანით განისაზღვრა. თუ მხედველობაში მივიღებთ ამერიკულ გამოცდილებას, სადაც კანაფის დარგის სპეციალისტებს ქვეყნის საშუალო ხელფასზე ორჯერ და უფრო მეტი ანაზღაურება აქვთ, საქართველოში საშუალო ხელფასის (2018 წლის მეორე კვარტალში – 1103,5 ლარი)<sup>17</sup> გაორმაგებულზე მეტი



მაჩვენებელი, კერძოდ, დარიცხული 3000 ლარი, ანუ საშემოსავლო გადასახადის გადახდის შემდეგ გასაცემი 2400 ლარი.

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, ზემოთ ჩამოთვლილი დათქმების შემთხვევაში, პირველივე წელს კომპანიის წმინდა მოგება შესაძლოა 10,6267 მილიონი ლარი შეადგინოს. ხუთწლიანი ციკლის (იმის გათვალისწინებით, რომ შესაბამისი ლიცენზია 5-წლიანი უნდა იყოს) განმავლობაში კი კომპანიის წმინდა მოგება შესაძლოა 66 მილიონ ლარს გადასცდეს. თუ წარმოვიდგენთ, რომ ბაზარზე 10 ამგვარი კომპანია გაჩნდება, 5 წლის განმავლობაში მათ შეეძლებათ 667 მილიონ ლარის მოგების მიღება.

**ცხრილი 1. კანაფის მწარმოებელი და ექსპორტიორი კომპანიის ერთ ჰექტარზე განუული ხარჯები და პოტენციური შემოსავლები (ლარში)**

წელი	ინვესტიცია	წარმოება	შემოსავალი (1 გრამი = \$10)	დასაქმება (პლანტაციის სპეციალისტები, დაცვა)	სახელფასო ფონდი (100 ადამიანი x 3000 ლარი დარიცხული x 12 თვე)	წმინდა მოგება
I	4 000 000	0.8 ტონა	21 000 000	100 ადამიანი	3 600 000	10 626 700
II	0	0.8 ტონა	21 000 000	100 ადამიანი	3 600 000	14 018 200
III	0	0.8 ტონა	21 000 000	100 ადამიანი	3 600 000	14 018 200
IV	0	0.8 ტონა	21 000 000	100 ადამიანი	3 600 000	14 018 200
V	0	0.8 ტონა	21 000 000	100 ადამიანი	3 600 000	14 018 200
ჯამი	4 000 000	0.8 ტონა	105 000 000	100 ადამიანი	18 000 000	66 699 500
10 კომპანიის ჯამი	40 000 000	40 ტონა	1 050 000 000	1000 ადამიანი	180 000 000	666 995 000

საექსპორტო მარიხუანის წარმოების საქმიანობით დაკავებული კომპანიების მოგებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია დავიანგარიშოთ, თუ რას მიიღებს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც საქართველოს მთლიანი მოსახლეობის ინტერესებს უფრო მეტად ემსახურება, ვიდრე კომპანიის მიერ მიღებული მოგება. კერძოდ, საქართველოში არსებული საგადასახადო კანონმდებლობა მსგავს შემთხვევებში ითვალისწინებს შემდეგ გადასახადებს: საშემოსავლო გადასახადი – 20% (იანგარიშება დაქირავებულების ხელფასიდან)<sup>18</sup>; ქონების გადასახადი (რეზიდენტი სანარმო/ორგანიზაცია გადასახადს იხდის მის ბალანსზე ძირითად საშუალებად აღრიცხულ აქტივებზე, დაუმონტაჟებელ მონყობილობებზე, დაუმთავრებელ მშენებლობაზე, აგრეთვე მის მიერ ლიზინგით გაცემულ ქონებაზე) – არა უმეტეს 1%-სა<sup>19</sup>; დივიდენდი – 5%<sup>20</sup>; მოგების გადასახადი – 15%<sup>21</sup> და სალიცენზიო განაკვეთი – 200 ათასი ლარი (ჩვენი გათვლებით, პირველ ეტაპზე კომპანიებს 10-დან მხოლოდ 8 ლიცენზია დასჭირდებათ).

როგორც ცხრილი 2-დან ჩანს, საბიუჯეტო შემოსავლები მწარმოებელი კომპანიის შემოსავლებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება. კერძოდ, ყოველი კომპანიიდან სახელმწიფო ბიუჯეტს პირველი წლის განმავლობაში ერთ ჰექტარზე შეუძლია თითქმის 3,5 მლნ. ლარი, ხოლო მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, წლიურად, 4,1 მლნ. ლარის შემოსავალი მიიღოს. თუ ასეთი კომპანიების რაოდენობა 10 იქნება, 5-წლიანი ციკლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი შესაძლოა დამატებით ჯამურად თითქმის 200 მილიონი ლარით შეივსოს.

**ცხრილი 2. მოსალოდნელი საბიუჯეტო შემოსავლები კანაფის ერთ ჰექტარზე საექსპორტო წარმოებიდან (ლარში)**

ნელი	ლიცენზია	საშემოსავლო გადასახადი	ქონების გადასახადი	მოგების გადასახადი	დღივდენი	ჯამი
I	200 000	720 000	40 000	1 974 000	559 300	3 493 300
II	0	720 000	40 000	2 604 000	737 800	4 101 800
III	0	720 000	40 000	2 604 000	737 800	4 101 800
IV	0	720 000	40 000	2 604 000	737 800	4 101 800
V	0	720 000	40 000	2 604 000	737 800	4 101 800
ჯამი	200 000	3 600 000	200 000	12 390 000	3 510 500	19 900 500
10 კომპანიის ჯამი	2 000 000	36 000 000	2 000 000	123 900 000	35 105 000	199 005 000

არსებობს ალბათობა იმისა, რომ 1 ჰექტარზე პლანტაციის გაშენებას ყველა მენარმე ვერ შეძლებს და მათ შედარებით ნაკლებ ფართობზე მოუნდებათ აღნიშნული საქმიანობით დაკავება. როგორც ცხრილი 3-დან ჩანს, ნახევარ ჰექტარზე პლანტაციის გაშენების შემთხვევაში, ლიცენზიებზე განეული ხარჯი არ იცვლება, მოსავლიანობა კი განახევრებულია; გრამი კანაფის ღირებულება უცვლელია და ის 10 დოლარს შეადგენს; დასაქმებულთა რაოდენობა 100-დან 70 კაცამდეა შემცირებული და, შესაბამისად, შემცირებულია სახელფასო ფონდის ჯამური მოცულობაც. ამ შემთხვევაში, ერთმა კომპანიამ შესაძლოა მოგების სახით დაახლოებით 4,65 მილიონი ლარი გამოიმუშაოს, 5-წლიან ციკლში კი – დაახლოებით 30,65 მილიონი ლარი. თუ ასეთი კომპანიების რიცხვი 10 იქნება, 5-წლიან ციკლში ისინი ჯამურად 306,5 მილიონი ლარის მოგებას მიიღებენ.

**ცხრილი 3. კანაფის მწარმოებელი და ექსპორტიორი კომპანიის 0.5 ჰექტარზე განეული ხარჯები და პოტენციური შემოსავლები (ლარში)**

ნელი	ინვესტიცია	წარმოება	შემოსავალი (1 გრამი = 10 აშშ დოლი)	დასაქმება (პლანტაციის სპეცილისტები და დაცვა)	სახელმწიფო ფონდი (70 ადამიანი x 3000 ლარი დარიცხული x 12 თვე)	წმინდა მოგება
I	2 000 000	0.4 ტონა	10 500 000	70 ადამიანი	2 520 000	4 651 200
II	0	0.4 ტონა	10 500 000	70 ადამიანი	2 520 000	6 499 520
III	0	0.4 ტონა	10 500 000	70 ადამიანი	2 520 000	64 99 520
IV	0	0.4 ტონა	10 500 000	70 ადამიანი	2 520 000	6 499 520
V	0	0.4 ტონა	10 500 000	70 ადამიანი	2 520 000	6 499 520
ჯამი	2 000 000	2 ტონა	52 500 000	70 ადამიანი	12 600 000	30 649 280
10 კომპანიის ჯამი	20 000 000	20 ტონა	525 000 000	700 ადამიანი	126 000 000	306 492 800

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს, ნახევარ ჰექტარზე პლანტაციის გაშენების შემთხვევაში, ისიც შემცირებული იქნება წინა მაგალითთან შედარებით. კერძოდ, როგორც ცხრილი 4-დან ჩანს, ამ შემთხვევაში 1 კომპანიიდან ბიუჯეტი დაახლოებით 1,83 მილიონ ლარს მიიღებს, რაც 5-წლიანი ციკლის შემთხვევაში, თითქმის 9,8 მილიონ ლარში გადაიზრდება. ხოლო თუ ასეთი კომპანიების რაოდენობა იქნება 10, მაშინ სახელმწიფო ბიუჯეტი 5-წლიანი ციკლის განმავლობაში დაახლოებით 98 მილიონი ლარის მოზიდვას შეძლებს.

**ცხრილი 4. მოსალოდნელი საბიუჯეტო შემოსავლები კანაფის ერთ ჰექტარზე საექსპორტო წარმოებიდან (ლარში)**

ნელი	ლოცენზია	საშემოსავლო გადასახადი	ქონების გადასახადი	მოგების გადასახადი	დივიდენდი	ჯამი
I	200000	504000	20000	864000	244800	1832800
II	0	504000	20000	1118400	342080	1984480
III	0	504000	20000	1118400	342080	1984480
IV	0	504000	20000	1118400	342080	1984480
V	0	504000	20000	1118400	342080	1984480
ჯამი	200 000	2 520 000	100 000	5 337 600	1 613 120	9 770 720
10 კომპანიის ჯამი	2 000 000	25 200 000	1 000 000	53 376 000	16 131 200	97 707 200

თუ პირობითად დავუშვებთ, რომ ბაზარზე გაჩნდება 1 ჰა ფართობის 10 და ასევე 0,5 ჰა ფართობის 10 კომპანია (ანუ სულ 60 კომპანია), მაშინ, შესაბამისად, პირველ წელს სახელმწიფო ბიუჯეტი გაიზრდება 53 261 000 ლარით, ხოლო მომდევნო ოთხ წელიწადში, წლიურად – 60 862 800 მილიონი ლარით. ეს კი, მაგალითად, 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის თანახმად, ბიუჯეტს (რომელიც 13 090 მილიარდი ლარია)<sup>22</sup> პირველ წელს მხოლოდ 0,41 პროცენტით.

ჯამში ყოველწლიურად ადგილი ექნება 12 ტონა პროდუქციის ექსპორტს, რომლის ჯამური ღირებულება 120 მილიონი აშშ დოლარი იქნება. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოდან 12 ტონა მარიხუანის პროდუქციის ექსპორტი ნაკლებად სავარაუდოა, რადგანაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, 2016 წელს მსოფლიოში მარიხუანის ყველაზე დიდი ექსპორტიორი ქვეყანა დიდი ბრიტანეთი იყო და ექსპორტზე მხოლოდ 2,1 ტონა გაიტანა. მაშასადამე, ჩვენი გათვლები ზედმეტად „ოპტიმიმისტურია“ და როგორც ვხედავთ ამ „ოპტიმიმისტურ“ შემთხვევაშიც საქართველოს

სახელმწიფო ბიუჯეტისთვის მარიხუანის პროექტის განხორციელებას დიდი დადებითი შედეგი ვერ ექნება.

### **სავაჭრო ბალანსი და ლარის გაცვლითი კურსი**

ჩვენი გათვლებით, საექსპორტოდ ორიენტირებული სამედიცინო მარიხუანის წარმოებას გარკვეული ეფექტი საქართველოს ეკონომიკაზე ნამდვილად ექნება. სამედიცინო მარიხუანის ექსპორტი პოზიტიურად აისახება საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსის დეფიციტის შემცირებაზე, რომელიც 2017 წელს 5,2 მილიარდ აშშ დოლარს აღემატებოდა<sup>23</sup>.

ყველაზე ოპტიმისტური გათვლებით (1 ჰა ფართობის 10 და ასევე 0,5 ჰა ფართობის 10, ანუ სულ 20, კომპანიის შემთხვევაში), საგარეო სავაჭრო ბალანსის დეფიციტის შემცირება წლიურად 120 მილიონი ამერიკული დოლარით ან 2,3 პროცენტით იქნება შესაძლებელი.

აქედან გამომდინარე, სამედიცინო მარიხუანის ექსპორტს გარკვეული დოზით პოზიტიური გავლენა ექნება საქართველოს ეროვნული ვალუტის სტაბილურობაზე, რადგანაც მარიხუანის ექსპორტს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინება მოჰყვება. კერძოდ (1 ჰა ფართობის 10 და ასევე 0,5 ჰა ფართობის 10, ანუ სულ 20, კომპანიის შემთხვევაში), სამედიცინო მარიხუანის ექსპორტის შედეგად საქართველოში შემოსული 120 მილიონი ამერიკული დოლარი საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების (2018 წლის 30 სექტემბრის მონაცემებით – 3,153 მილიარდ აშშ დოლარამდე<sup>24</sup>) 3,8 პროცენტის ტოლი იქნება.

### **დასაქმების შესაძლო ზრდა**

2018 წლის მეორე კვარტლის უკანასკნელი მონაცემების თანახმად, საქართველოში დასაქმებულთა ჯამური რაოდენობა 1 მილიონ 712 ათას 600 ადამიანია. შესაბამისად, სამედიცინო მარიხუანის მწარმოებელ 10 მსხვილ (1 ჰა ფართობზე) და 10 მცირე (0,5 ჰა ფართობზე) კომპანიაში პოტენციურად დასაქმდება 1700 ადამიანი, რაც მთლიანი დასაქმების 0,1 პროცენტი იქნება. თუ გავითვალისწინებთ, რომ სამედიცინო მარიხუანის წარმოებას ვერ განახორციელებენ თვითდასაქმებულები, რადგანაც ეს ლიცენზირებადი დარგია, მიზანშეწონილია ამ პლანტაციებში დასაქმებული ადამიანების წილის დადგენა დაქირავებით დასაქმებულებთან (878 300 ადამიანი) მიმართებით, რომელიც 0,19 პროცენტი იქნება.

1700 ახალი დასაქმებულის გაჩენას აგრეთვე შეუძლია არსებული უმუშევრობის მაჩვენებლის შემცირებაც. კერძოდ, თუ გავითვალისწინებთ, რომ სამუშაო ძალაში 1 948 800 ადამიანი შედის და რომ უმუშევრობა 12,1 პროცენტია (ან 236 200 ადამიანი), გამოდის, რომ მარიხუანის პლანტაციებში დასაქმებამ შესაძლოა უმუშევრობის მაჩვენებელი 0,1 პროცენტული პუნქტით – 12,0 პროცენტამდე შეამციროს<sup>25</sup>.

## გამონვევა

სამედიცინო მარიხუანის ექსპორტის მიზნით წარმოების მთავარ გამონვევად რჩება, თუ სად გაიყიდება ქართული პროდუქცია. ბრიტანეთის მაგალითი ცხადყოფს, რომ საექსპორტო ბაზარი ამ პროდუქტისთვის ჯერჯერობით საკმაოდ შეზღუდულია. კერძოდ, ბრიტანეთი მსოფლიოს ლეგალური საექსპორტო მოცულობის დაახლოებით ნახევრის მიმწოდებელია, რომელიც სულ რაღაც 2,1 ტონას უდრის.

მართალია, არსებობს ამერიკული გამოცდილება, რომელიც მილიონობით ტონა მარიხუანას აწარმოებს წელიწადში, თუმცა ის ადგილობრივ მოხმარებაზეა გათვლილი და არა – საექსპორტოდ და სამედიცინო დანიშნულებით (ისიც ძირითადად ამერიკული კომპანიების მიერ გამოიყენება). სამწუხაროდ, არც ქართული ფარმაცევტიკა და პარფიუმერიაა იმ დონეზე, რომ კანაფის გადამუშავება ადგილზევე შეძლოს და მზა ნაწარმი გაიტანოს ქვეყნის ფარგლებს გარეთ. სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გატანით მიღებული ეკონომიკური ზრდა კი, როგორც ცნობილია, „კუდში მიმდევარი ზრდის“ (“coat-tail growth”) სახელითაა ცნობილი<sup>26</sup> და ისევ და ისევ ეკონომიკურ ჩამორჩენილობას შეუწყობს ხელს<sup>27</sup>. ჩვენნაირი ქვეყნისთვის ეკონომიკის სწორი განვითარება კი, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის და ეროვნული ეკონომიკის ინდუსტრიალიზაციის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია<sup>28</sup>.

თუ დავუშვებთ, რომ ექსპორტის შემდგომ, მეორე ეტაპზე, მარიხუანის ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციაც გახდება შესაძლებელი, დასაშვებია კიდევ უფრო მეტ მოგებას მივალწიოთ და შესაძლოა, სწორედ ამ რიცხვებით მანიპულირება გახდეს მსგავსი ინიციატივის საბაზიც.

## საფროთხეები

მარიხუანის ეკონომიკა, გარკვეულ დადებით ეკონომიკურ შედეგებთან ერთად, რისკებთანაცაა დაკავშირებული.

უწინარეს ყოვლისა, შესაფასებელია ის, თუ მარიხუანის წარმოებისა და ექსპორტის სფეროში წესრიგის დამყარებისა და დაცვის რა პოტენციური შესაძლებლობები აქვს თანამედროვე ქართულ სახელმწიფოს. საკითხის ამ კუთხით დასმა უშუალოდ გამომდინარეობს იქიდან, რომ კანონპროექტის ავტორების აზრით, ნებისმიერ შემთხვევაში, ქვეყნის შიგნით მარიხუანის გასაღება ისჯება სისხლის სამართლის წესით.

საყურადღებოა, რომ ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის მოთხოვნით, ბოლო პერიოდში თბილისში არაერთი ფართომასშტაბიანი აქცია გაიმართა, რომლის მიზანიც ნარკოტიკების მოხმარებისა და მცირე რაოდენობით პირადი მოხმარების მიზნით ფლობის დეკრიმინალიზაციის მიღწევა იყო<sup>29</sup>. ფაქტია, რომ მარიხუანის მოხმარების ლეგალიზაციის მხარდამჭერებმა, როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმატებას მიაღწიეს და 2018 წლის 30 ივლისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მარიხუანის პირადი მოხმარებისთვის ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული სანქციები არაკონსტიტუციურად აღიარა, რის საფუძველზეც საქართველოში მისი მოხმარება ლეგალური გახდა. სწორედ ამას მოჰყვა საქართველოს მთავრობის მიერ ექსპორტზე გატანის მიზნით მარიხუანის მოყვანა-წარმოების საკითხის შესახებ კანონპროექტის მომზადება და ინიცირება<sup>30</sup>.

ამ ვითარებაში ძნელად დასაჯერებელია, რომ საქართველოს მთავრობა შეძლებს მარიხუანის გასაღების აკრძალვაზე სრული კონტროლის დანეხებას, რადგან ამ ნარკოტიკის თავისუფლად მოხმარებისთვის საჭიროა მისი შექმნა. რადგანაც ეს მოხმარება საქართველოში დეკრიმინალიზაციას დაექვემდებარა, ამჟამად, რომ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები ვერ ახერხებენ ნარკოტიკის ბაზრის მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელ გაკონტროლებას.

მართალია, სამედიცინო მარიხუანის წარმოების ტექნოლოგიური ნორმების სრული დაცვა ითვალისწინებს თრობის კომპონენტის მაქსიმალურ შემცირებას, თუმცა ნაკლებ სავარაუდოა, რომ განვითარების დღევანდელ დონეზე საქართველოში შესაძლებელი გახდეს ამ ტექნოლოგიის სრული დაცვის უზრუნველყოფა.



მარიხუანის პლანტაციების თუნდაც ამ მცენარის მხოლოდ საექსპორტო მიზნით გაშენების შემთხვევაში, საქართველოში გაიზრდება ნარკოტიკების არალეგალურ ბაზარზე მიწოდების პოტენციური შესაძლებლობა, რისი მეტ-ნაკლებად ეფექტიანად გაკონტროლებისა და აკრძალვის შესაძლებლობა სამართალდამცავ ორგანოებს ამ ეტაპზე, სამწუხაროდ, არ გააჩნიათ.

## დასკვნა

დღეისათვის დაგროვებული საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, საქართველოში საექსპორტოდ გათვალისწინებული სამედიცინო დანიშნულების მარიხუანის წარმოებას ქვეყნის ეკონომიკისათვის გარკვეული დადებითი შედეგები ექნება. კერძოდ, 5-წლიანი ციკლის (რადგანაც შესაბამისი ლიცენზია 5 წელზეა გათვლილი) განმავლობაში 1 ჰა ფართობის მქონე 10 კომპანია 667 მილიონი ლარის მოგებას მიიღებს. 0,5 ჰა ფართობის მქონე 10 კომპანია კი 5 წლის განმავლობაში ჯამურად დაახლოებით 306 მილიონი ლარის მოგებას მიიღებს. მაშასადამე, 20 პოტენციური კომპანიის მიერ მისაღები მოგება 5 წლის განმავლობაში, სავარაუდოდ, ჯამში 973 მილიონ ლარამდე უნდა იყოს. ბუნებრივია, რომ უფრო მეტი კომპანიისა და მეტი ფართობების გამოყოფის შემთხვევაში, მისაღები მოგების ოდენობაც შესაბამისად გაიზრდება. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ დიდი ბრიტანეთის გამოცდილებას, რომელიც 2016 წელს მსოფლიოში მარიხუანის ყველაზე დიდი ექსპორტიორი იყო 2,1 ტონით, მაშინ საქართველოსთვის მოყვანილი ჩვენი გათვლები აშკარად ზედმეტად „ოპტიმისტურია“.

მოსალოდნელი მოგების შედარებით შთამბეჭდავ ოდენობასთან ბევრად უფრო მოკრძალებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის პოტენციური შემოსავლები, რაც განპირობებულია საქართველოში დღეს არსებული შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმით სასოფლო-სამეურნეო წარმოებასა და ექსპორტზე. მარიხუანის წარმოებაზე საგადასახადო წნეხის გაზრდა კი ამ პროდუქტს კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზარზე აშკარად შეუმცირებს.

იმავე ზედმეტად „ოპტიმისტური“ პირობითი მაგალითისათვის, როცა ბაზარზე გვეყოლება 1 ჰა ფართობის 10 და ასევე 0,5 ჰა ფართობის 10 კომპანია (ანუ სულ 20 კომპანია), მაშინ პროექტის განხორციელების პირველ წელს სახელმწიფო ბიუჯეტი გაიზრდება 53 261 000 ლარით, ხოლო მომდევნო ოთხ წელიწადში, წლიურად – 60 862 800 ლარით. ეს კი, 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის

კანონპროექტის თანახმად, ბიუჯეტს (რომელიც 13 090 მილიარდი ლარია) მხოლოდ 0,41 პროცენტით გაზრდის.

არანაკლებ საყურადღებოა ის პარამეტრიც, თუ რამდენად შემცირდება საქართველოს საგარეო სავაჭრო ბალანსის დეფიციტი, რომელიც 2017 წელს 5,2 მილიარდ ამერიკულ დოლარს აღემატებოდა. რადგანაც მარიხუანის განხილული პირობითი მაგალითის შემთხვევაში ჯამში ადგილი ექნება 12 ტონა პროდუქციის ექსპორტს, მისი ჯამური ღირებულება 120 000 000 აშშ დოლარი იქნება. მაშასადამე, საგარეო სავაჭრო ბალანსის დეფიციტის შემცირება შესაძლებელი იქნება მხოლოდ 2,3 პროცენტით.

მართალია, სამედიცინო მარიხუანის ექსპორტს გარკვეული დოზით პოზიტიური გავლენა ექნება საქართველოს ეროვნული ვალუტის სტაბილურობაზე, მაგრამ ამ შემთხვევაშიც არ იკვეთება რაიმე მნიშვნელოვანი გარდატეხა. კერძოდ, მოყვანილი პირობითი მაგალითის შემთხვევაში, 2018 წლის 30 სექტემბრის მონაცემების შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვებთან მიმართებაში უცხოური ვალუტის შემოდინება ამ რეზერვების მხოლოდ 3,8 პროცენტი იქნება.

პრაქტიკულად, არც დასაქმება გაიზრდება მნიშვნელოვნად. კერძოდ, განხილული პირობითი მაგალითის შემთხვევაში, სულ შესაძლებელია 1700 ადამიანი დასაქმდეს, რაც მთლიანი დასაქმების 0,1 პროცენტი, ხოლო დაქირავებით დასაქმებულების მხოლოდ 0,19 პროცენტი იქნება. იმავდროულად, უმუშევრობის მაჩვენებელი 0,1 პროცენტული პუნქტით, ანუ 12,0 პროცენტამდე შემცირდება.

სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გატანით მიღებულ ეკონომიკურ ზრდას ეკონომისტები „კუდში მიმდევარ ზრდას“ უწოდებენ და ის სამართლიანადაა მიჩნეული ეკონომიკურ ჩამორჩენილობის ხელშემწყობად. ჩვენნაირი ქვეყნისთვის კი ეკონომიკის სწორი განვითარება მხოლოდ ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის და ეროვნული ეკონომიკის ინდუსტრიალიზაციის საფუძველზეა შესაძლებელი.

როგორც ცნობილია, სამედიცინო მარიხუანის წარმოების ტექნოლოგიური ნორმების სრული დაცვა ითვალისწინებს თრობის კომპონენტის მაქსიმალურ შემცირებას. იმავდროულად ნაკლებ სავარაუდოა, რომ განვითარების დღევანდელ დონეზე საქართველოში შესაძლებელი გახდეს ამ ტექნოლოგიის სრული დაცვის უზრუნველყოფა.

ამ ეტაპზე, სამწუხაროდ, სამართალდამცავ ორგანოებს, განსაკუთრებით იმ ვითარების გათვალისწინებით, რომ წარ-

კოტიკების მოხმარება საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს უკვე დეკრიმინალიზებული აქვს, არ შესწევთ უნარი აკრძალონ ნარკოტიკების არალეგალურ ბაზარზე მათი მიწოდება. ხოლო მარიხუანის პლანტაციების თუნდაც მხოლოდ საექსპორტო მიზნით გაშენების შემთხვევაში, საქართველოში გაიზრდება ნარკოტიკების არალეგალურ ბაზარზე მიწოდების პოტენციური შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოში მარიხუანის ეკონომიკის შექმნა და განვითარება ჩვენი სახელმწიფოსთვის და მთლიანად ქვეყნისთვის (გარდა ამ ბიზნესით დაკავებულითათვის) დიდ დადებით შედეგებს ვერ იძლევა, ხოლო დამატებით რეალურ საფრთხეებს კი, ქართული სახელმწიფოს განვითარების არსებული დონის გათვალისწინებით, ნამდვილად ქმნის.

## ბიბლიოგრაფია

1. „საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. *საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო*, 30 ივლისის გადაწყვეტილება № 1/3/1282, [www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/1-3-1282-saqartvelos-moqalaxeebi-zurab-djafaridze-da-vaxtang-megrelishvili-saqartvelos-parlamentis-winaagmdge.page](http://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/1-3-1282-saqartvelos-moqalaxeebi-zurab-djafaridze-da-vaxtang-megrelishvili-saqartvelos-parlamentis-winaagmdge.page).
2. ჯაფარიძე, ზ. კანაფის ლეგალიზაციის ეკონომიკური სარგებელი. *Forbes Georgia*, 10 მარტი, 2017, [www.forbes.ge/news/1942/kanafis-legalizaciis-ekonomikuri-sargebeli](http://www.forbes.ge/news/1942/kanafis-legalizaciis-ekonomikuri-sargebeli).
3. საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „მცენარე კანაფის კონტროლის შესახებ“ თანდართულ კანონპროექტებთან ერთად. *საქართველოს პარლამენტი*, 13 სექტემბერი, 2018, [www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/102118/07-2.251](http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/102118/07-2.251).
4. ფინანსთა მინისტრი: კანაფის ექსპორტი საქართველოს 1,000,000,000 ლარს მოუტანს. *ტაბულა*, 15 სექტემბერი, 2018, [www.tabula.ge/ge/story/136900-finansta-ministri-kanafis-eqsporti-saqartvelos-1000000000-lars-moutans](http://www.tabula.ge/ge/story/136900-finansta-ministri-kanafis-eqsporti-saqartvelos-1000000000-lars-moutans).
5. Schwartz, E. How Price Changes in Marijuana Markets. *Econlife*, JUNE 24, 2016, [www.econlife.com/2016/06/declining-marijuana-prices/](http://www.econlife.com/2016/06/declining-marijuana-prices/).
6. Halon, E. Ready to Grow: Israeli Companies Eager to Join Global Cannabis Boom. *The Jerusalem Post*, September 24, 2018, [www.jpost.com/Israel-News/Ready-to-grow-Israeli-companies-eager-to-join-global-cannabis-boom-567850](http://www.jpost.com/Israel-News/Ready-to-grow-Israeli-companies-eager-to-join-global-cannabis-boom-567850).
7. Sapra, B. Canada Becomes Second Nation in the World to Legalize Marijuana. *CNN*, June 20, 2018, [www.edition.cnn.com/2018/06/20/health/canada-legalizes-marijuana/index.html](http://www.edition.cnn.com/2018/06/20/health/canada-legalizes-marijuana/index.html).
8. მარიხუანას ეკონომიკური ეფექტი – ვის უნდა გაუწიოს კონკურენცია საქართველომ და რა შანსები აქვს ბაზარზე. *ფორტუნა*, 13 სექტემბერი, 2018, [www.fortuna.ge/marikhuanas-ekonomikuri-efeqti-vis-unda-gauwios-konkurencia-saqartvelom-da-ra-shansebi-aqvs-bazarze/](http://www.fortuna.ge/marikhuanas-ekonomikuri-efeqti-vis-unda-gauwios-konkurencia-saqartvelom-da-ra-shansebi-aqvs-bazarze/).
9. Torrey, T. Medical Marijuana, Pain Relief, and the Law. *Verywell*, September 07, 2018, [www.verywellhealth.com/medical-marijuana-pain-relief-and-the-law-2615372](http://www.verywellhealth.com/medical-marijuana-pain-relief-and-the-law-2615372).
10. 2018 Cannabis Price Index. *ABCD*, [www.weedindex.io/](http://www.weedindex.io/).
11. Chen, S. Green Gold: How China Quietly Grew into a Cannabis Superpower. *South China Morning Post*, August 28, 2017, [www.scmp.com/news/china/society/article/2108347/green-gold-how-china-quietly-grew-cannabis-superpower](http://www.scmp.com/news/china/society/article/2108347/green-gold-how-china-quietly-grew-cannabis-superpower).
12. Adams, M. Marijuana Cultivation Is where Cannabis Workers Can Earn the Largest Salaries. *Forbes*, June 11, 2018, [www.forbes.com/sites/mikeadams/2018/06/11/marijuana-cultivation-is-where-cannabis-workers-can-earn-the-largest-salaries/#5adb13d440c6](http://www.forbes.com/sites/mikeadams/2018/06/11/marijuana-cultivation-is-where-cannabis-workers-can-earn-the-largest-salaries/#5adb13d440c6).

13. McVey, E. Chart: US Hemp Production Soars in 2017. *Marijuana Business Daily*, March 26, 2018, [www.mjbizdaily.com/chart-us-hemp-production-soars-2017/](http://www.mjbizdaily.com/chart-us-hemp-production-soars-2017/).
14. McVey, E. Chart: Cannabis Industry Employs 165,000-Plus Workers. *Marijuana Business Daily*, June 26, 2018, [www.mjbizdaily.com/chart-cannabis-industry-employs-165000-plus-workers/](http://www.mjbizdaily.com/chart-cannabis-industry-employs-165000-plus-workers/).
15. მოყვანილი გათვლები, რა თქმა უნდა, პირობითი ხასიათისაა, რადგანაც ჯერჯერობით უცნობია, თუ რა მასშტაბით აპირებს განსახილველი პროექტის განხორციელებას საქართველოს მთავრობა, შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივის საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცების შემთხვევაში. აქ მოყვანილი გათვლების შედეგები გაიზრდება, თუ მთავრობა ბევრად უფრო მასშტაბურ ხასიათს მისცემს ამ პროექტის რეალიზაციას, ვიდრე ჩვენ მიერ იქნა ეს დაშვებული მეტ-ნაკლებად რეალისტური მოსაზრებებისა და ხელთ არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით.
16. ეს პროპორცია დამახასიათებელია დიდი ბრიტანეთისთვის.
17. დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქმიანობის სახეების მიხედვით (2014-2018 წლების კვარტალების მიხედვით). *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*, [www.geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/labour/nace2/04\\_Sul\\_%20xelfასი%20\(kvartalebi\)nace2.xls](http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/labour/nace2/04_Sul_%20xelfასი%20(kvartalebi)nace2.xls).
18. საშემოსავლო გადასახადი. *შემოსავლების სამსახური*, [www.rs.ge/5117](http://www.rs.ge/5117).
19. თავი XXIX ქონების გადასახადი. *შემოსავლების სამსახური*, [www.rs.ge/4383](http://www.rs.ge/4383).
20. იქვე.
21. მოგების გადასახადი. *შემოსავლების სამსახური*, [www.rs.ge/4777](http://www.rs.ge/4777).
22. „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი. *საქართველოს ფინანსთა სამინისტრო*, [www.mof.ge/images/File/2019-bijeti-wardgena/kanoni/TAVI%20VI.DOCX](http://www.mof.ge/images/File/2019-bijeti-wardgena/kanoni/TAVI%20VI.DOCX).
23. საგარეო ვაჭრობა. *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*, [www.geostat.ge/?action=page&p\\_id=133&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo).
24. ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები, *საქართველოს ეროვნული ბანკი*, [www.nbg.gov.ge/uploads/sagareoseqtori/templatesection\\_igeo.xlsx](http://www.nbg.gov.ge/uploads/sagareoseqtori/templatesection_igeo.xlsx).
25. 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური აქტივობის მიხედვით, *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*, [www.geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/labour/new/10%20ekonomi-kuri%20aqtivoba-%20Q.xlsx](http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/labour/new/10%20ekonomi-kuri%20aqtivoba-%20Q.xlsx).
26. Hudson, E.A. *Economic Growth: How it Works and How it Transformed the World*. Wilmington, Vernon Press, 2015, pp. 34-35.
27. Papava, V. Catching Up and Catch-Up Effect: Economic Growth in Post-Communist Europe (Lessons from the European Union and the Eastern Partnership States). *European Journal of Economic Studies*, 2018, Vol. 7, No. 2, [www.ejournal2.com/journals\\_n/1537557942.pdf](http://www.ejournal2.com/journals_n/1537557942.pdf).
28. Papava, V. Why Georgia Needs Economists. *Rondeli Blog*, Tbilisi, Georgian Foundation For Strategic and International Studies, October 12, 2018, [www.gfsis.org/blog/view/871](http://www.gfsis.org/blog/view/871).

29. აქცია რეპრესიული ნარკოპოლიტიკის წინააღმდეგ. *Civil.ge*, 18 ივნისი, 2018, [www.civil.ge/ka/archives/232304](http://www.civil.ge/ka/archives/232304); ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის მოთხოვნით თბილისში აქცია გაიმართა. *Civil.ge*, 11 დეკემბერი, 2018, [www.civil.ge/ka/archives/219172](http://www.civil.ge/ka/archives/219172); ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის მოთხოვნით მორიგი აქცია გაიმართა. *Civil.ge*, 26 იანვარი, 2018, [www.civil.ge/ka/archives/219592](http://www.civil.ge/ka/archives/219592).
30. მთავრობა ექსპორტზე გატანის მიზნით მარიხუანის მოყვანა-წარმოების საკითხს განიხილავს. *Civil.ge*, 11 სექტემბერი, 2018, [www.civil.ge/ka/archives/253619](http://www.civil.ge/ka/archives/253619).